# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავს!







გ. იაშვილის ნახატი.

## მთამსვლელები იყოფენ... ოქროს

25-ე საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედლები სასიმაღლო ასვლების კლასში მთამსვლელთა ორმა გუნდმა მოიპოვა, პირველია მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის სპორტული კლუბის კოლექტივი: ინჟინრები ე. მისლოვსკი, ვ. გლუხოვი, ა. გოლოვინი, ი. გრიბენშჩიკოვი, ვ. ივანოვი, ვ. ლოკტიონოვი, ე. პალეხოვი და ვ. პუჩკოვი; მეორე — ალმა-ათის სპარტაკელთა გუნდი: გეოლოგები ბ. სტუდენინი და ვ. გაპიჩი, ასტრონომი ა. კურჩაკოვი, ინჟინრები ი. მარჩენკო და ვ. მედვედევი.

ორივე გუნდმა „დაიპყრო" ერთი და იგივე მარშრუტი. ისინი ხან-თენგრის (ტიან-შანი) მწვერვალზე ჩრდილოეთის კედლის ცენტრით ავიდნენ, ოღონდ დამოუკიდებელ ჯგუფებად მიდიოდნენ.

ტექნიკური ასვლების კლასში გაიმარჯვა საზოგადოება „ტრუდის" გუნდმა: მოსკოველები — მხატვარი-კონსტრუქტორი ი. ემლიანენკო, ინჟინრები ნ. კრაინოვი და ა. ტისლიაცკი, ამწყობი ზეინკალი ლ. პავლიჩენკო, მეცნიერ-მუშაკი ბ. კოსტინი. ეს მთამსვლელები ავიდნენ ზანდონის მწვერვალზე (ფანის მთები) ჩრდილო-დასავლეთის კედლით.

ტრავერსების კლასში პირველი იყო „ბურევესტნიკის" გუნდი ვ. ბოჟუკოვის ხელმძღვანელობით. ამ გუნდმა შეასრულა 20-კილომეტრიანი „ოქროს" მარშ-გარბენი 6-7 ათას მეტრ სიმაღლეზე კალინინის პიკიდან კომუნიზმის მწვერვალამდე.

ლენინგრადის საოლქო საბჭოს „ტრუდის" გუნდი, რომელიც პირველად ავიდა არნავადის მწვერვალზე პამირში, საუკეთესო იყო სასიმაღლო-ტექნიკურ ასვლათა კლასში. ამ გუნდს ხელმძღვანელობდა გ. ჩუნოვკინი.

ჩემპიონატში, რომელმაც ჯერ კიდევ ივნისში აიღო სტარტი, სხვადასხვა მწვერვალი დაიპყრო 850 სპორტსმენმა. პირველობაში სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკის 27 გუნდი მონაწილეობდა.

სეზონის შედეგები შეჯამდა 5 ნოემბერს სსრ კავშირის მთამსვლელობის ფედერაციის სხდომაზე.

(საკდესი).

## მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

● ●

## კარპოვი — კორჩნოი 3:1 (15 ყაიმი)

მოსკოვი, 5 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). XIX პარტიაში, რომელიც გუშინ გადაიდო, გაჩაღებული ბრძოლა უაღრესად დაიძაბა. კორჩნოი შეეცადა გამოეყენებინა თავისი პოზიციის უპირატესობა, მეფის უფრო აქტიური მდებარეობა. კარპოვი შეუპოვრად თამაშობდა, მაგრამ მერე, როცა კორჩნოის გამსვლელი პაიკი ამოძრავდა, იძულებული შეიქნა კუ შეეწირა. ამასობაში კარპოვის მეფის ფრთის პაიკებმა ლაშიერად გასვლა დააპირეს.

კორჩნოი ძალიან დაკვირვებით თამაშობდა და შავი პაიკების მოძრაობას ხელს უშლიდა. მაყურებლებს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს შეხვედრა ყაიმით უნდა დამთავრებულიყო. მაგრამ კორჩნოიმ ვირტუოზულად წარმართა ენდშპილი.

ბოლოს კარპოვმა გამსვლელ პაიკში ეტლი შესწირა და მისი იმედი ორი პაიკი იყო. ძნელია გულდასმითი




ანალიზის გარეშე ითქვას, ჰქონდა თუ არა კარპოვს ყაიმის შანსი. ყოველ შემთხვევაში, ვერ მიაგნო მისკენ მიმავალ გზას.

დაფაზე კვლავ გაჩნდნენ ლაზიერები. კორჩნოიმ ზედმიწევნითი სიზუსტით შეხვედრა გამარჯვებით დააგვირგვინა. ეს კორჩნოის პირველი მოგებაა ამ მატჩში.

გთავაზობთ XIX პარტიას:

**კორჩნოი — კარპოვი**

ინდური დაცვა

1. d4 მf6 2. კg5 e6 3. e4 h6 4. კ:f6 ლ:f6 5. მf3 d6 6. მc3 g6 7. ლd2 ლe7 8. 0—0—0 a6 9. h4 კg7 10. g3 b5 11. კh3 b4 12. კd5 ed 13. კ:c8 0—0 14. კb7 ეa7 15. კ:d5 c6 16. კb3 ლ:e4 17. ლd3 ლ:d3 18. ე:d3 მd7 19. ეe1 მb6 20. a4 ba 21. ba a5 22. ეde3 კf6 23. a4 c5 24. dc dc 25. მd2 მფg7 26. ეf3 ეc7 27. მc4 მ:c4 28. კ:c4 ეd8 29. c3 ეcd7 30. მფc2 ეd2+ 31. მფb3 ეd1 32. ე:d1 ე:d1 33. კb5 ეd5 34. ეe3 ეe5 35. ეd3 ეe2 36. ეf3 ეe5 37. მფc4 ეf5 38. ეd3 ეf2 39. მფ:c5 კe5 40. მფb6 ეg2 41. c4 (ჩაწერილი სვლა) ე:g3 42. ეd7 g5 43. hg hg 44. c5 ეc3 45. c6 g4 46. c7 g3 47. კc6 კ:c7+ 48. ე:c7 მფh6 49. ეc8 f5 50. ეf8 ე:c6+ 51. მფ:c6 მფg5 52. ეg8+ მფf4 53. მფb5 მფf3 54. მფ:a5 f4 55. მფb4 მფg2 56. a5 f3 57. a6 f2 58. a7 f1ლ 59. a8ლ+ ლf3 60. ლa2+ ლf2 61. ლd5+ ლf3 62. ლd2+ ლf2 63. მფc3 მფg1 64. ლd1+ მფg2 65. ლd3 ლc5+ 66. მფb3 ლb6+ 67. მფc2 ლc6+ 68. მფd2 ლh6+ 69. ლe3 ლh4 70. ეb8 ლf6 71. ეb6 ლf5 72. ეb2 მფh2 73. ლh6+ მფg1 74. ლb6+ მფh2 75. ლb8 მფh3 76. ლh8+ მფg4 77. ეb4+ მფf3 78. ლh1+ მფf2 79. ეb2. კარპოვი დანებდა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 222 (5252)

1974 წ. 7 ნოემბერი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ოქტომბრის თვის საუკეთესო სპორტსმენი ქალი

პარიზი, 6 ნოემბერი. საფრანგეთის დედაქალაქის სპორტის აკადემიის ჟიურიმ ლ. ტურიშჩევას „თვის (ოქტომბერი) საუკეთესო სპორტსმენი ქალის" წოდება მიანიჭა.

ჟიურის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ ეს მაღალი ტიტული როსტოველ სპორტსმენს ვარნის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებისთვის მიეკუთვნა.

## თეთრები იწყებენ და... აგებენ




IV ტურის პარტიები ძირითადად პოზიციურ მანევრირებაში მიმდინარეობდა. მ. ლუპშიჩმა (იუგოსლავია), ე. კონვერსკიმ (პოლონეთი) და გ. ბადიალიმ (იტალია) თეთრებით კარგად შესწავლილი დებიუტები გაითამაშეს, მაგრამ ა. ანდრეიკოს, ი. კუპერმანის (ორივე — სსრ კავშირი) და ფ. ვალდრინგის (სურინამი) წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს და ფარ-ხმალი დაყარეს.

ხ. ვირსმამ (ჰოლანდია) პ. კადერაბეკს (ჩეხოსლოვაკია) ისე გადაუკეტა ყველა გზა, რომ 38-ე სვლაზე ამ უკანასკნელმა საათი გააჩერა.

გ. განიონმა (კანადა) მინსკელ ა. განტვარგს სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია, დიდხანს ინარჩუნებდა წონასწორობას და ალბათ გულის სიღრმეში მოკავშირედ მოწინააღმდეგის ცენტრის გამოყენებას ცდილობდა. მაგრამ, დროის უკმარობის მიუხედავად, განტვარგმა ზუსტად ითამაშა, დაგეგმულ მაზეს თავი დააღწია და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც.

3 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს კიეველი კუპერმანი — 3,5 ქულა.

გ. ტალახაძე,

შაშის რესპუბლიკური ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

◆ ბელგრადი, 6 ნოემბერი. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკე ვაჟთა აქ მიმდინარე ტრადიციულ მატჩში ორი წრის შემდეგ ანგარიშით 7:4 (7 პარტია გადადებულია) ლიდერობენ საბჭოთა სპორტსმენები. პირველი ორი წრე ასე დამთავრდა: 2,5:1,5 (2 პარტია გადაიდო) და 2,5:0,5 (3). III ტურში ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: ვაჰანიანი — გლიგორიჩი, ბალაშოვი — ლიუბოევიჩი, მატულოვიჩი — პოლუგაევსკი და მატანოვიჩი — ტალი. გადადებულია პარტიები: ივკოვი — სუეტინი და გუფელდი — რაიჩევიჩი. წინ კიდევ სამი წრეა.

ჩოგბ გაზეთი მაუწყებელი ჩავ იყო... 19⁴⁵

## პარტია გადაიდო

მოსკოვი, 6 ნოემბერი. პრეტენდენტთა მატჩის XX პარტია, რომელიც დღეს უნდა შემდგარიყო, კორჩნოის ავადმყოფობის გამო გადაიდო.

## შეხვედრა საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში

5 ნოემბერს, დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, საბჭოთა ჰოკეისტები საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მივიდნენ, რათა განვლილი სეზონისა და თავიანთი მომავალი გეგმების შესახებ ემსაუბრათ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ტიაჟელნიკოვმა ქვეყნის ნაკრების წევრებს გადასცა კომიტეტის სამახსოვრო სამკერდე ნიშნები — „50 წელი ლენინის სახელით". მანვე გადასცა ჰოკეისტებს საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის ვიმპელი, რომელიც კოსმოსში ჰქონდათ გმირ საბჭოთა კოსმონავტებს, და სახელოვან სპორტსმენებს შემდგომი წარმატებები უსურვა.

— ჩვენ არც ამიერიდან დავზოგავთ თავს და კვლავ მონდომებით ვიმუშავებთ ახალ-ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად, — თქვა სსრ კავშირის ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ბ. კულაგინმა.

ჰოკეისტებს მიესალმნენ სსრ კავშირის მფრინავი-კოსმონავტი ვ. გორბატკო და რსფსრ-ს სახალხო არტისტი ი. იაკოვლევი.

საქპრესი ფოტოქრონიკა

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

## ვემზადოთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის

# დოსააფელთა უპირველესი ამოცანა

ღირსეულად შევხვდეთ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადას — ეს იყო ამ დღეებში თბილისში გამართული დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის აქტივის კრების მუშაობის მთავარი აზრი.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პირველი წლის სპორტული შედეგებისა და ფინალური შეჯიბრებებისთვის მზადების ამოცანების შესახებ მოხსენებით გამოვიდა დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გ. შვანგირაძე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა ტარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" და ეძღვნება ფაშისტურ გერმანიასთან საბჭოთა არმიის გამარჯვების 30-ე წლისთავს. წინა სპარტაკიადისგან განსხვავებით, ამ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის ტექნიკური სახეობის წარმომადგენლებიც.

როგორც ცნობილია, ჩვენმა რესპუბლიკამ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის გაშლის მხრივ 1973 წელს II ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირში.

წლეულს სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში ჩატარებული შეჯიბრებების პროგრამაში სპორტის 44 სახეობა შედიოდა, აქედან 26 — VI სპარტაკიადის პროგრამაშია შეტანილი.

ჩვენი რესპუბლიკის ნაკრებმა გუნდებმა საკავშირო სარბიელზე საპრიზო ადგილები დაიკავეს საშვეულმფრენო სპორტში, ავტორალიში, საავტომობილო-საგზატკეცილო-წრიულ რბოლაში, კარტინგში, საავტომობილო მრავალჭიდში, წყალქვეშა სროლაში, რადიოგრამის მიღება-გადაცემაში. პირად ჩათვლაში თავი ისახელეს: მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა საპარაშუტო სპორტში უშმაევამ, ავიამოდელისტმა ტოკარევმა, რადიოსამართავი ავტომობილის მოდელებით შეჯიბრებაში — ჩხაიძემ, საიპოდრომო მოტორბოლაში — ლარინმა, აგრეთვე, კარტინგისტებმა გასაძემ, ხიდეშელმა, ღლონტმა და აკოფოვმა.

— ავიასამოდელო სპორტში ჩვენი გუნდი XVI ადგილზე გავიდა, — თქვა მომხსენებელმა, — ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ტოკარევმა საბჭოთა ქვეყანა ასახელა საერთაშორისო შეჯიბრებებში, მაგრამ ისიც აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მან, როგორც ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მწვრთნელმა, მთლიანად ჩაშალა მუშაობა, რისთვისაც გათავისუფლებულია ამ მოვალეობისგან. ამ ჩამორჩენაში დამნაშავეა არა მარტო ტოკარევი, არამედ დოსააფის ავიასპორტკლუბის ხელმძღვანელობაც.

ითქვა, რომ ასევე არასახარბიელო მდგომარეობაა საპარაშუტო სპორტში, რომელშიც ჩვენმა კოლექტივმა საკავშირო მასშტაბით X ადგილი დაიკავა. გუნდის სუსტ საერთო ფიზიკურ მომზადებაზე, უსისტემო წვრთნაზე თავის დროზე მიუთითებდნენ გამოცდილი მწვრთნელები სავკინი და ხუხრინი, მაგრამ ეს არ გაითვალისწინა გუნდის მწვრთნელმა ბონდარენკომ.

— ავტოსამოდელო სპორტში VI ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ სახეობაში კარგად გვაქვს საქმე, — აღნიშნა მომხსენებელმა. — ეს წარმატება იმან განაპირობა, რომ ჩხაიძე რადიოსამართავი მოდელებით ასპარეზობაში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ამით გუნდმა მეთერთმეტედან VI ადგილზე გადაინაცვლა.

სამოტოციკლო სპორტში ჩვენს რესპუბლიკას კარგი ტრადიციები აქვს.

საწყლოსნო სპორტიდან VI სპარტაკიადის პროგრამაში 5 სახეობა შედის. წლეულს ამ სახეობების კომპლექსურ ჩათვლაში საპრიზო ადგილი დავიკავეთ, მაგრამ წყალქვეშ ორიენტირებაში დღემდე ჩამოვრჩებით. წვრთნა-დაოსტატებაში ხელს გვიშლის ის გარემოება, რომ მუდმივი სავარჯიშო ბაზა არა გვაქვს. დოსააფის სოხუმის საცურაო აუზის რეკონსტრუქცია ძალიან გაჭიანურდა.

ჩამოვრჩებით რადიოტექნიკურ სპორტშიც. სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადაში თუ მეორე პრიზიორები ვიყავით, წლეულს X ადგილზე დავრჩით. აჭარის დოსააფის საოლქო კომიტეტი სრულიად არ ზრუნავს ამ საქობის განვითარებისთვის. მაგალითად, ბათუმის რადიოკლუბს ერთი სპორტსმენიც არ მოუმზადებია.

სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს სასროლო სპორტის განვითარებაში. სუსტად იმუშავა რესპუბლიკის სასროლო კლუბმა (უფროსი ბოსტოღანაშვილი).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი ჩამორჩენა შედარებით ახალ სახეობაში — სამხედრო-გამოყენებით ს მრავალჭიდში, რომლის განვითარებასაც შეჯიბრებათა სუსტი ორგანიზაცია და მწვრთნელთა გამოუცდელობა აფერხებს.

დოსააფის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ისე არ მუშაობენ, როგორც საჭიროა.

წლეულს სპორტის 15 სახეობაში ჩატარდა რესპუბლიკური შეჯიბრებები, მაგრამ აჭარამ აქედან მხოლოდ 9 სახეობაში მიიღო მონაწილეობა. აფხაზეთმა სპორტსმენები გამოიყვანა 10, ქუთაისმა — 8, რუსთავმა — 4, თელავმა, სამტრედიამ, მახარაძემ — 3-3 სახეობაში. ცხაკაიამ, გორმა და ხაშურმა, სადაც ძლიერი სასწავლო ორგანიზაციები არიან, მხოლოდ ერთ სახეობაში საასპარეზოდ გამოგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები. ძალიან ჩამორჩნენ ჭიათურა, ზესტაფონი, სიღნაღი, ცხინვალი. დასახელებულ რაიონებს ყველა შესაძლებლობა აქვთ საიმისოდ, რომ 6 სახეობა მაინც განავითარონ, მით უმეტეს, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდები დიდ ინტერესს იჩენენ სპორტის ტექნიკური სახეობებისადმი.

კარგი შედეგი [illegible] სკოლებს შორის ჩატარებულმა შეჯიბრებამ [illegible] უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად მატერიალური შესაძლებლობებისა, არადამაკმაყოფილებელია დოსააფის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის (დირექტორი საგინაშვილი) მუშაობა.

მომხსენებელი რამდენიმე სიტყვით შეეხო სპორტული ბაზების საკითხს. მან თქვა, რომ თბილისში არსებული კორდოდრომი დაანგრიეს და ჯერჯერობით ახალი არ შენდება. მანვე აღნიშნა, რომ ზემდგომი ორგანოების დადგენილებით კორდოდრომების მშენებლობა დაგეგმილია სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში.

შეჩერებულია დიღომში დოსააფის სასროლეთის მშენებლობა.

წრიული ავტოსარბოლო გზის მშენებლობა, რომელიც გეგმით 1975 წელს უნდა დამთავრდეს, ჯერ არც დაწყებულა.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ნ. უსოვმა (დოსააფის აფხაზეთის კომიტეტის თავმჯდომარე), ა. გელაშვილმა (ახალციხე), ვ. სულამანიძემ (ქუთაისი), გ. გაჩეჩილაძემ (რუსთავი), ზ. გვენეტაძემ (თბილისის უნივერსიტეტი), თ. ჩხაიძემ (საქართველოს სპორტტექნიკური კლუბის უფროსი).

აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე შ. მახარაძე.

დასკვნითი სიტყვით გამოვიდა დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის გმირი ვ. ჯანჯღავა.

დოსააფის საქართველოს ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ს. აბულაძემ წაიკითხა საქართველოს დოსააფის სპორტული აქტივის კრების მონაწილეთა მიმართვა დოსააფის საქართველოს ყველა კომიტეტისადმი, ორგანიზაციებისა და კლუბებისადმი, სპორტსმენებისადმი, სპორტული სექციების, ფედერაციებისა და სპორტის ტექნიკურ სახეობათა მოყვარულებისადმი.

# ცამეტგზის ჩემპიონი

### „ფოლადი" ფიზკულტურასა და სპორტშიც მტკიცეა

რუსთავში ჩატარდა მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის XIII სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. მძლეოსნობაში, ძალოსნობაში, კალათბურთში, ფრენბურთში, ხელბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ველოსპორტში, ცურვასა და ტყვიის სროლაში გამარჯვებისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ I ჯგუფის გუნდები: რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის", ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნისა და ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სპორტსმენები.

II ჯგუფში პირველობისთვის იბრძოდნენ ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს, თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, კვაისის, მადნეულისა და რუსთავის „ცენტრდომნარემონტის" კოლექტივები. ისინი ასპარეზობდნენ მძლეოსნობაში, ქართულ ჭიდაობაში, ფრენბურთში, ხელბურთსა და ტყვიის სროლაში.

მძლეოსნობაში სარბიელზე ექვსი გუნდის 74 სპორტსმენი გამოვიდა, მათგან ერთმა — ვ. პანჩუკმა („ფოლადი") მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა, ხოლო 29 მძლეოსანმა — მესამე თანრიგისა. გუნდურ ჩათვლაში 153 ქულით I ადგილი დაიკავა „ფოლადმა".

50 კილომეტრზე ველორბოლაში თავი ისახელეს „ფოლადის" სპორტსმენებმა გ. თოლორდავაშვილმა, ხ. კეხბამ, ნ. კრასავცევმა და ზ. ძულიაშვილმა.

ძალოსანთა შეჯიბრება რვა წონითს კატეგორიაში ჩატარდა. 56 კგ წონითს კატეგორიაში გამარჯვება მოიპოვა ჭიათურელმა ა. კუპატაძემ, დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ რუსთაველი სპორტსმენები ვ. ბადალოვი, მ. მუსაევი, ნ. სარქისიანი, ვ. ლოპუანიძე, ო. დემუროვი, შ. ბერძენიშვილი და ი. ბაიდოშვილი.

კალათბურთელ ვაჟთა ტურნირში რუსთაველებმა ანგარიშით 61:47 დაამარცხეს ზესტაფონელები, ხოლო შემდეგ ჭიათურელებს სძლიეს — 64:42. წარმატებით იასპარეზა, აგრეთვე, რუსთავის კალათბურთელ ქალთა გუნდმა.

„ფოლადის" ფრენბურთელებსაც არ გასჭირვებიათ I ადგილის დაკავება, ხელბურთელ ქალთა შეჯიბრებაში რუსთაველებმა დიდი ანგარიშით (17:2) მოუგეს ჭიათურელებს, მერე კი ზესტაფონელები დაამარცხეს — 13:7. ქალებს არც ვაჟები ჩამორჩნენ: მათაც I ადგილი დაიკავეს.

ქართულ ჭიდაობაში ჩემპიონებმ გახდნენ: ა. მერმანიშვილი (რუსთავი), რ. სარალიძე, რ. არაბიძე (ორივე — ზესტაფონი), ზ. ჯაბიევი (რუსთავი), ჯ. ჯანიაშვილი (ზესტაფონი), გ. ზუბითიძე (რუსთავი), თ. შაქარიშვილი (ზესტაფონი), უბრძოლველად — ი. ბეჟოშვილი (რუსთავი). გუნდური I ადგილი რუსთაველ მეტალურგებს ხვდათ.

ტყვიის სროლაშიც „ფოლადმა" იმარჯვა.

ერთადერთი გუნდური წარმატება სტუმრებიდან ჭიათურელ მოცურავეებს ხვდათ.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დარგობრივი სპარტაკიადის ჩემპიონობა მეცამეტედ მოიპოვეს „ფოლადის" სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ზესტაფონელები.

მეორე ჯგუფში ხუთივე სახეობაში გუნდების გამოყვანა მხოლოდ ზესტაფონის სარემონტო-სამშენებლო სამმართველომ და თბილისის შრომის დაცვის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა შეძლეს. საბოლოოდ აქ წარმატება ზესტაფონელებს ხვდათ. მძლეოსნობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, ტყვიის სროლაში — ზესტაფონელებმა, ფრენბურთში — კვაისელებმა, ქართულ ჭიდაობასა და ხელბურთში — მადნეულის წარმომადგენლებმა.

გამარჯვებული სპორტსმენებით დაკომპლექტდა გუნდები, რომლებიც მონაწილეობენ „განთიადის" ცენტრალური საბჭოს სპარტაკიადაში.

**რ. გაბრიჩიძე.**
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

**სურათებზე:** ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრების მომენტი; ფინიშთან.

ავტორის ფოტოები.

# სპორტული ლანჩხუთი

დამთავრდა „კოლმეურნის" რაიონული სპარტაკიადა სპორტის ეროვნულ სახეობებში. პროგრამაში იყო ქართული ჭიდაობა, ძალოსნობა და ლელობურთი.

ქართულ ჭიდაობაში გუნდური პირველობა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ათლეტებმა დაისაკუთრეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ე. ხელაძე, გ. გუდევანიშვილი, რ. ოსაძე, თ. პაპიაშვილი, გ. ასკურავა, ა. გელაშვილი (ყველა — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი), ლ. დონაძე, თ. ტიკარაძე (ორივე — ღრმაღელის ციტრუსების მეურნეობა).

ჭიდაობაში შეჯიბრებას თავი აარიდეს ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობისა და ისეთი დიდი სოფლების ფიზკულტურელებმა, როგორიც არის ჩიბათი, ნიგვზიანი, ჩოჩხათი და შუახეთი.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტებმა ლელობურთელთა და ძალოსანთა შეჯიბრებებშიც იყოჩაღეს. ცხადია, მათ გაიმარჯვეს სპარტაკიადის საერთო გუნდურ ჩათვლაშიც.

მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს ღრმაღელის ციტრუსებისა და ლანჩხუთის ჩაის საბჭოთა მეურნეობების სპორტსმენებმა.

• • •

მესამედ მოეწყო თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ვეტერანის, სპორტის ოსტატ ილია დათუნაშვილის სახელობის თასის გათამაშება. შეჯიბრებაში 12 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ რაიკოოპერატივისა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფეხბურთელთა გუნდები.

რაიკოოპერატივის კოლექტივმა მოიგო შეხვედრა ანგარიშით 2:0. გარდამავალი თასი სპორტსმენებს თვითონ ი. დათუნაშვილმა გადასცა.

• • •

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივმა (ფიზაღზრდის მასწავლებლები ჯ. სარჯველაძე და ო. ღლონტი) მოაწყო სემინარი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მოსამზადებლად. საზოგადოებრივი ინსტრუქტორის წოდება 65 მსმენელმა მიიღო.

**ი. ებრალიძე.**
(ჩვენი კორ.).







VI სპარტაკიადა თბილისი

# სამი გუნდი და დანარჩენები

საქართველოს სპორტკომიტეტის ზამთრის საცურაო აუზში სამ დღეს გაგრძელდა მოცურავეთა ასპარეზობა. სპორტსაზოგადოებების შეჯიბრება მუდამ დიდ ინტერესს იწვევს, მით უფრო, რომ თბილისში ამგვარი ტურნირებით განებივრებული არა ვართ. ამასთან, ეს ასპარეზობანი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ სპორტულ საზოგადოებებში ცურვის განვითარების დონე.

გუნდური პირველობა, როგორც მოსალოდნელი იყო, დინამოელებს ხვდათ — 228 ქულა. განთიადელები 149 ქულას დასჯერდნენ. ამ შეჯიბრებაში უკანასკნელი... III საპრიზო ადგილი „შრომითი რეზერვების" მოცურავეებმა „დაიკავეს", რომლებსაც სულ რაღაც 48 ქულა დაუგროვდათ.

რას აკეთებენ სხვა სპორტსაზოგადოებები? შეიძლება ითქვას, არაფერს. გამოდის, რომ სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადება მხოლოდ ამ სამ კოლექტივს ევალება.

„ლოკომოტივმა" განაცხადში 20 კაცი ჩაწერა, რამაც მხოლოდ ღიმილი გამოიწვია. საქმე ის არის, რომ განაცხადში შეტანილი იყო გვარები იმ ყოფილი მოცურავეებისა, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა II და III სპარტაკიადებში იცავდნენ ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას. სამაგიეროდ, სიაში შეტანილი არ იყო მოქმედი მოცურავე ე. ნიკიფოროვა, რომელიც იძულებული გახდა შეჯიბრებაში უკონკურსოდ ესპარეზა. მან ამ შეჯიბრებაში აუცილებელი სათანრიგო მოთხოვნა (I თანრიგი) შეასრულა.

გაუგებარია, რატომ არ მიიღო მონაწილეობა ტურნირში „ბურევესტნიკმა"? თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ბევრი მოცურავე სწავლობს, რომლებსაც I თანრიგის შედეგის ჩვენება შეუძლიათ, მაგრამ მათ არავითარი ყურადღება არ ექცევათ. სწორედ ამიტომ „ბურევესტნიკში" არც იციან ამ სპორტსმენთა არსებობა. ასეთი უყურადღებობის გამო ბევრმა სტუდენტმა მოცურავემ რესპუბლიკის ნაკრების კანდიდატთა სიაში მოხვედრის შანსი დაკარგა.

გამონაკლისს არც ასკ წარმოადგენს. გაუგებარი მიზეზებით აქ ცურვა დანერგილი არ არის.

ბევრი სპორტსაზოგადოება და უწყება თავს იმით იმართლებს, საცურაო აუზი არა გვაქვსო. ყველას საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის აუზში უნდა ვარჯიში, მაგრამ იგი მეტისმეტად გადატვირთულია. განა არ შეიძლება საწვრთნელი მეცადინეობების ჩატარება „ლოკომოტივის" საცურაო აუზში, რომელიც მთლიანად დატვირთული არ არის?

შეჯიბრებამ ბევრი სუსტი მხარე გამოავლინა. უამრავი ნაკლი აქვთ ჩვენს სპორტსმენებს ცურვის ტექნიკაში. სტარტის მიცემისას ზოგიერთი დიდხანს „ზის" ბაქანზე. ბრასით, ბატერფლაით და კომპლექსური ცურვის დროს ზოგიერთი არასწორად ბრუნდება, ფინიშთან კი ერთობ არაენერგიულია. ცუდად სრულდება ესტაფეტის მიღება-გადაცემა. ნაკლები ყურადღება ექცევა ცურვის ისეთ ძალისმიერ სახეობებს, სადაც შედარებით მეტი შრომის დახარჯვაა საჭირო. მაგალითად, 100 მეტრზე ბატერფლაით ქალთა შეჯიბრებაში მხოლოდ 6 სპორტსმენი გამოდიოდა, 200 მეტრზე კი ეს ციფრი განახევრდა. ამასთან, მხოლოდ ორმა მონაწილემ აჩვენა I თანრიგის შედეგი. თავისუფალი სტილით 800 მეტრზე ცურვაში ასევე 3 მოცურავე გამოვიდა სტარტზე. ამდენივე ვაჟი ჩაება ბატერფლაით 200 მეტრზე შეჯიბრებაში.

დამაკმაყოფილებელი შედეგები ჰქონდათ ნაკრების კანდიდატებს, თუმცა ისინი ამ ასპარეზობისთვის საგანგებოდ არ მომზადებულან.

სულ შეჯიბრებაში ნაჩვენებია 14 სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და 67 პირველი თანრიგის შედეგი.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ შეჯიბრების ყველა მონაწილე სამახსოვრო სამკერდე ნიშნით დაჯილდოვდა. ჩემპიონებს დიპლომები და მედლები გადაეცათ. კარგი იქნებოდა, მეორე და მესამე პრიზიორებიც დიპლომებთან ერთად შესაბამისი ხარისხის მედლებითაც დაეჯილდოებინათ.

**ლ. იოაკიმიდი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

* * *

## ტექნიკური შედეგები

ქალები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ი. მარგიშვილი („სპარტაკი") — 1.08,0, ნ. გელაძე („დინამო") — 1.09,2, ი. ნოვოსიოლოვა („შრომითი რეზერვები") — 1.11,5; 200 მ. გელაძე — 2.35,5, ნოვოსიოლოვა — 2.38,6, მ. პატარკაციშვილი („განთიადი") — 2.41,9; 400 მ. ი. პოტაპოვა („დინამო") — 4.57,7, ნ. გეოკჩოღლიანი („განთიადი")—5.11,0, ნ. ბახტაძე („დინამო") — 5.33,7; 800 მ. პოტაპოვა — 10.06,0, გეოკჩოღლიანი — 10.42,9, მ. დანელიშვილი („დინამო") — 12.56,0. ბრასი. 100 მ. ნ. გამჯიაშვილი — 1.24,7, თ. ლაშქარაშვილი — 1.27,5, ს. სოვდაგრიშვილი (სამივე — „დინამო") — 1.27,7; 200 მ. ნ. გამჯიაშვილი — 3.00,7, სოვდაგრიშვილი — 3.03,4, ლაშქარაშვილი — 3.05,8. გულაღმა. 100 მ. შ. გოზალიანი — 1.16,2, მ. ნათლიაშვილი (ორივე — „დინამო") — 1.17,5, ი. პროსკურინა — („განთიადი") — 1.21,3; 200 მ. გოზალიანი — 2.42,0, ი. პროსკურინა — 2.43,7, ნათლიაშვილი — 2.48,0. ბატერფლაი. 100 მ. ლ. იმნაძე — 1.16,3, ვ. პროსკურინა (ორივე — „განთიადი") — 1.17,0, ლ. ნატროშვილი („დინამო") — 1.20,4; 200 მ. ვ. პროსკურინა — 2.59,9, ი. ბაბაიანი („განთიადი") — 3.02,9, ი. კოროტკოვა („დინამო") — 3.08,2. კომპლექსური. 200 მ. ე. ზაგიდულოვა — 2.52,7, ტ. გამჯიაშვილი — 2.54,0, მ. ბილანიშვილი (სამივე — „დინამო") — 2.58,0; 400 მ. იმნაძე — 6.01,0, ბახტაძე — 6.06,5, ე. აშიმოვა („დინამო") — 6.21,6. ესტაფეტა. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. „დინამო" — 4.53,0, „განთიადი" — 5.01,8; კომბინირებული. „დინამო" — 5.09,6, „განთიადი" — 5.21,5, „შრომითი რეზერვები" — 5.50,6.

ვაჟები. თავისუფალი სტილი. 100 მ. ი. ლისეცკი — 59,0, ვ. გონჩაროვი (ორივე — „დინამო") — 59,0, ხ. სტაშევსკი („განთიადი") — 1.01,6; 200 მ. ა. იორდანიშვილი („შრომითი რეზერვები") — 2.06,5, გონჩაროვი — 2.14,3, ი. ბრიზგალოვი („დინამო") — 2.18,1; 400 მ. ი. კუშპელიოვი — 4.26,4, ს. მაკაროვი — 4.34,3, გ. მთვრალაშვილი (სამივე — „დინამო") — 4.49,7; 1500 მ. კუშპელიოვი — 17.43,7, გ. ფურცელაძე („შრომითი რეზერვები")—19.36,7, გ. ლოსკუტოვი („განთიადი") — 20.27,8. ბრასი. 100 მ. ს. ნედელკო — 1.14,6, ი. ლეკვეიშვილი (ორივე — „განთიადი") — 1.14,8, ა. იევლევი („დინამო") — 1.14,9; 200 მ. ნედელკო — 2.43,3, იევლევი — 2.43,4, გ. შერმანდინი („დინამო") — 2.45,1. გულაღმა. 100 მ. ა. ვეჩხაიზერი („განთიადი")—1.04,9, ნ. ბაშარული — 1.06,0, ა. თევზაძე (ორივე — „დინამო") — 1.09,0; 200 მ. ბაშარული — 2.21,3, ვეჩხაიზერი — 2.24,8, ვ. საი („დინამო") — 2.26,7; ბატერფლაი. 100 მ. გ. გოდერძიშვილი — 1.02,5, გ. ნიკოლაიშვილი — 1.05,0, ი. ტიშკინი (სამივე — „განთიადი") — 1.05,7; 200 მ. გოდერძიშვილი — 2.20,0, ი. მესხიშვილი („განთიადი") — 2.23,5, ნიკოლაიშვილი — 2.28,0. კომპლექსური. 200 მ. იორდანიშვილი — 2.22,4, ა. რეზნიკოვი („განთიადი") — 2.26,7, მთვრალაშვილი — 2.32,3; 400 მ. ს. მაკაროვი („დინამო") — 5.09,9, საი — 5.12,6, ი. ჩხიკვაძე („დინამო") — 5.31,0. ესტაფეტა. 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით. „დინამო" — 4.05,5, „განთიადი" — 4.14,5, „შრომითი რეზერვები" — 4.25,6, 4×200 მ. „დინამო" — 8.52,7, „შრომითი რეზერვები" — 9.25,1, „განთიადი" — 9.49,6; კომბინირებული. 4×100 მეტრზე. „განთიადი" — 4.22,2, „დინამო" — 4.24,7, „შრომითი რეზერვები" — 4.57,7.

• • •

სურათზე: გ. გოდერძიშვილი ასპარეზობისას.

ა. გურასაშვილის ფოტო.

---

სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში

● ●

# სანამ ჩემპიონატში შესვენებაა



ხანმოკლე ტაიმ-აუტმა, რომელიც გამოწვეულია ევროპის ტურნირებში მოწინავე საბჭოთა გუნდების თამაშით, საშუალება მოგვცა შეგვეჯამებინა 42-ე ჩემპიონატის სტარტზე მომხდარი ამბები.

ჯერ ორიოდე სიტყვა ფავორიტების შესახებ. ცსკა-ს წარუმატებლობა კაუნასში სწორად მიიჩნიეს ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად. მაგრამ აქ მთავარი ის კი არ არის, რომ ჩემპიონი დამარცხდა, არამედ ის, რომ საბჭოთა კალათბურთის აღიარებული ლიდერი ჯერჯერობით უხერხულად გრძნობს თავს მოედანზე. ჟარმუხამედოვის დაბრუნება, რა თქმა უნდა, დიდი ამბავია კოლექტივის ცხოვრებაში. ამ გამოცდილმა კალათბურთელმა კარგად ჩაატარა ოთხივე შეხვედრა და სავსებით გაამართლა მწვრთნელების იმედები. მაგრამ მხოლოდ ჟარმუხამედოვი, როგორც ჩანს, ვერ შექმნის ამინდს მოედანზე, თუ მას პარტნიორებმაც არ აუბეს მხარი.

არმიელთა სასტარტო ხუთეულში, ჟარმუხამედოვის გარდა, აქტიურად თამაშობენ ვეტერანები ედეშკო და მილოსერდოვი. და მაინც, ამ შესანიშნავ სამეულსაც არ ეყო ძალა გადაერჩინა ქულა „ჟალგირისთან" განმეორებით შეხვედრაში. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? ჩვენი აზრით, მთავარი მიზეზი ს. ბელოვის სუსტი თამაშია. ბელოვი ან ის აღარ არის, რაც იყო გუნდისთვის, ანდა აშკარად უჭირს თავისი ძირითადი როლის შესრულება. ასეა თუ ისე, მან იმ საბედისწერო შეხვედრაში მხოლოდ 6 ქულა მოუტანა კოლექტივს.

გაურკვეველ მდგომარეობაშია საბჭოთა კალათბურთის საუკეთესო სნაიპერი სალნიკოვიც. იგი ჯერჯერობით ადგილს ვერ პოულობს მოედანზე, აშკარად „ამოვარდნილია" შემადგენლობიდან. როგორც ჩანს, მოთამაშის მექანიკური გადაყვანა ერთი კოლექტივიდან მეორე, უფრო ძლიერ გუნდშიც კი ჯერ კიდევ არ ნიშნავს მისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენას. სალნიკოვი თავისი ახალი გუნდის სნაიპერთა სიაში ერთ-ერთ ბოლო ადგილზეა („ჟალგირისთან" მეორე შეხვედრაში მანაც მხოლოდ 6 ქულა აიღო).

დამაჯერებლად დაიწყო ჩემპიონატი ლენინგრადის „სპარტაკმა". ა. ბელოვი, შტუკინი, არზამასკოვი, პავლოვი ბრწყინვალე ფორმაში არიან, თამაშობენ ტექნიკურად, ძლიერად და, რაც მთავარია, შედეგიანად. სამ პირველ მატჩში ბელოვმა თავის კოლექტივს 69 ქულა შესძინა. აქამდე „სპარტაკი" ცნობილი იყო თავისი დაცვის სტაბილურობით. ახლა იგი შედეგიანად თამაშობს თავდასხმაშიც.

კალათბურთის მოყვარულთა ყურადღება მიპყრობილია დებიუტანტთა მატჩებისკენ. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, შეძლებენ თუ არა ისინი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. ვილნიუსის „სტატიბამ" ტექნიკურად ითამაშა ჩემპიონთან შეხვედრაში. ცსკა-ს აშკარად გაუჭირდა ახალგაზრდა გირსკისის უვნებელყოფა, რომელმაც ორ მატჩში თავის კოლექტივს 88 ქულა შესძინა. აქტიური თამაშით გამოირჩევა მეორე დებიუტანტიც — პავილონისიც.

სვერდლოვსკის „ურალმაშში" მთავარ როლს ასრულებს ნიჭიერი თავდამსხმელი მიშკინი, რომელიც შარშან სსრ კავშირის ნაკრებშიც კი შეიყვანეს. იგი ჯერჯერობით 42-ე ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერია — ოთხ მატჩში კოლექტივს 90 ქულა შესძინა. მიშკინი ტიპური გარემარბია, მაგრამ თავის გუნდში მეტწილად ცენტრალური თავდამსხმელის ფუნქციებს ასრულებს. იგი კარგად იბრძვის ფარქვეშ, გრძნობს პარტნიორს და არ ერიდება ძალისმიერ თამაშს.

რამდენიმე სიტყვა თბილისის „დინამოს" მომავალი მეტოქის — კაუნასის „ჟალგირისის" შესახებ. ის, რომ ლიტველმა კალათბურთელებმა ჩემპიონატის სტარტზე დაამარცხეს ცსკა, თავისთავად კომენტარს არ საჭიროებს. „ჟალგირისის" შემადგენლობა შარშანდელთან შედარებით ბევრით არ შეცვლილა. გუნდის ძირითადი ბირთვია ჟუკაუსკასი, ლინკიავიჩუსი, ვენზბერგასი, პატკაუსკასი და იურკშაიტისი. ჩემპიონთან შეხვედრაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ლინკიავიჩუსმა (40 ქულა) და პატკაუსკასმა (30 ქულა). როგორც ჩანს, „დინამომ" სწორედ ამ ორ კალათბურთელს უნდა მიაქციოს განსაკუთრებული ყურადღება.

**ნ. გუგუშვილი.**

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 4 | 0 | 386—317 | 4 |
| ცსკა | 3 | 1 | 360—313 | 3 |
| „დინამო" მ. | 2 | 0 | 187—140 | 2 |
| „დინამო" თბ. | 2 | 0 | 190—174 | 2 |
| „ჟალგირისი" | 1 | 1 | 155—164 | 1 |
| რტი | 0 | 2 | 174—190 | 0 |
| „სტროიტელი" | 0 | 2 | 157—195 | 0 |
| „სტატიბა" | 0 | 2 | 158—196 | 0 |
| „ურალმაში" | 0 | 4 | 300—378 | 0 |
| „კალევი" | 0 | 0 | 0—0 | 0 |

● ●

# დუბლიორთა საქმენი

დაძაბულად მიმდინარეობს დუბლშემადგენლობათა ტურნირიც. განსაკუთრებით კარგად თამაშობს მოსკოვის „დინამოს" რეზერვი, რომელმაც გამანადგურებელი ანგარიშით მოიგო ორივე მატჩი „ურალმაშთან" — 129:65 და 120:60.

გთავაზობთ დუბლიორთა ყველა სხვა მატჩების შედეგებს: „სტატიბა"—ცსკა 72:90 და 60:94, „სპარტაკი" — „სტროიტელი" 67:69 და 83:82, „ჟალგირისი" — ცსკა 69:77 და 72:73, „სპარტაკი" — „ურალმაში" 109.75 და 108:71.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

| | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 4 | 0 | 334—273 | 4 |
| „სპარტაკი" | 3 | 1 | 367—297 | 3 |
| „დინამო" (მ.) | 2 | 0 | 249—125 | 2 |
| „დინამო" (თბ.) | 2 | 0 | 172—155 | 2 |
| „სტროიტელი" | 1 | 1 | 151—150 | 1 |
| „ჟალგირისი" | 0 | 2 | 141—150 | 0 |
| რტი | 0 | 2 | 155—172 | 0 |
| „სტატიბა" | 0 | 2 | 132—184 | 0 |
| „ურალმაში" | 0 | 4 | 271—466 | 0 |
| „კალევი" | 0 | 0 | 0—0 | 0 |

---

„ლელო" წერილების კვალდაკვალ

## „უმადურობა და უპასუხისმგებლობა"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 23 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში ლაპარაკი იყო პროფკავშირულ-კომკავშირული საშემოდგომო მძლეოსნური კროსის უხეირო შედეგებზე. პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების გამგე ი. ბოჭორიძე გვატყობინებს:

წერილი განხილულია განყოფილების მიერ მოწვეულ თათბირზე, რომელსაც ესწრებოდნენ სპორტული საზოგადოებების თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები და მძლეოსნობაში მომუშავე ინსტრუქტორები. წერილში მოყვანილი ფაქტები მთლიანად დადასტურდა.

თათბირმა იმსჯელა როგორც პროფკავშირულ-კომკავშირული კროსის შედეგებზე, ისე მძლეოსნობაში შექმნილი არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის მიზეზებზე. სპორტულ საზოგადოებებს დაევალათ ამა წლის 15 დეკემბრამდე თავიანთს პრეზიდიუმის სხდომებზე განიხილონ ჩამორჩენის მიზეზები, იმსჯელონ ბაზების მდგომარეობაზე და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი, პროფსაბჭოში წარმოადგინონ თავიანთი წინადადებანი.

პროფსაბჭომ მიიღო ღონისძიება არსებული სპორტული ბაზების მოწესრიგების მიზნით. დაწყებულია თბილისის დიმიტროვის სახელობის ქარხნის სტადიონის კაპიტალური რემონტი, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ დაგეგმა „ლოკომოტივის" სტადიონის რემონტი, გაისად, იანვრიდან თბილისში დაიწყება მძლეოსნობის მანეჟის მშენებლობა და ა. შ.

---

# ხუთი იაპონელი ჩემპიონი

## ხუგულურისა და ჩოჩიშვილის ვერცხლის მედლები

ბრიუსელი, 5 ნოემბერი. გუშინ აქ დამთავრდა მსოფლიოს IV ჩემპიონატი ძიუდოში სტუდენტთა შორის. სსრ კავშირის ნაკრებმა III საპრიზო ადგილი დაიკავა. საბჭოთა ძიუდოისტებმა პირველ წრეში დაამარცხეს პოლონელები, მეორე წრეში უმნიშვნელო სხვაობით წააგეს იაპონელებთან და ამით ფინალში მონაწილეობის უფლება დაკარგეს.

შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა მოუგო საფრანგეთისა და ბელგიის ეროვნულ გუნდებს.

პირად ჩათვლაში თავი გამოიჩინა ვ. დვოინიკოვმა (სსრ კავშირი, ქვემსუბუქი წონა). ფინალში მან იაპონელი გოტონდა დაამარცხა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.

ქვემძიმე წონის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ იაპონელი იჩიკავა და თ. ხუგულური (სსრ კავშირი). გამარჯვება იაპონელს ხვდა. ჩვენს თანამემამულეს კი ვერცხლის მედალი ერგო. ვერცხლის ჯილდო მიიღო ოლიმპიურმა ჩემპიონმა შ. ჩოჩიშვილმაც (სსრ კავშირი), რომელიც ფინალში მარუტანისთან (იაპონია) დამარცხდა.

საერთოდ იაპონელებმა I ადგილები მოიპოვეს ხუთ წონაში: მსუბუქში — მორნიაკიმ, საშუალოში — ხარამ, ქვემძიმეში — იჩიკავამ, მძიმეში — კაკუბარიმ და აბსოლუტურში — მარუტანიმ.

„იაპონურმა ზღუდემ" ბევრი სახელოვანი ძიუდოისტი „იმსხვერპლა". მათ შორის იყვნენ ევროპის ჩემპიონები ჯაქსი (ინგლისი) და ზუველა (იუგოსლავია), პრიზიორები დორბრანდტი (გფრ) და რეიტერი (პოლონეთი).



# კიეველები მეოთხედფინალში იასპარეზებენ

კიევი. ცენტრალური სტადიონი. 6 ნოემბერი.

„დინამო" (კიევი) — „აინტრახტი" (მაინის ფრანკფურტი) 2:1 (2:0).

„დინამო": რუდაკოვი, ბურიაკი, მატვიენკო, ფომენკო, რეშკო, ტროშკინი, მუნტიანი, ონიშჩენკო, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

„აინტრახტი": ვინჰოლდი, ჰ. მიულერი, ტრინკლაინი, სიმონსი, კალბი, ბეიერუნგენი, კრაუზე, კიორბელი (რორბახი), ნიკელი, გრაბოვსკი, ჰოლცენბაინი.

მსაჯი მ. ჰირვინიემი (ფინეთი).

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის განმეორებითს მერვედფინალურ მატჩში კიევის დინამოელებმა ხელმეორე გამარჯვებას მიაღწიეს გფრ-ის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდთან „აინტრახტთან" შეხვედრაში (პირველი მეტოქის მინდორზე მათ მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 3:2). ამ კლუბში გამოდიან მსოფლიო ჩემპიონები გრაბოვსკი და ჰოლცენბაინი.

წუთი იყო გასული მატჩის დაწყებიდან, როცა ონიშჩენკომ მარცხენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთისთვის ბრძოლა მოუგო მეკარე ვინჰოლდს და ანგარიში გახსნა. ასეთმა დასაწყისმა გარკვეული დამაჯერებლობა შეიტანა მასპინძელთა თამაშში, რომლებიც ხშირად და სახიფათოდ უტევდნენ „აინტრახტის" კარს. 39-ე წუთზე ვინჰოლდმა ვერ შეძლო კუთხურიდან მოწოდებული ბურთის ხელში გაჩერება და იმავე ონიშჩენკომ მეორედ აიღო მეტოქის კარი.

შესვენების შემდეგ დინამოელებმა საგრძნობლად უკლეს აქტიურობას, ფრანკფურტელებს შესაძლებლობა მიეცათ წარმატებით განეხორციელებინათ რამდენიმე კონტრშეტევა. ერთ-ერთ მომენტში, 47-ე წუთზე, შეუთანხმებლად ითამაშეს რეშკომ და რუდაკოვმა, მცველის მიერ საკუთარ კარში დარტყმულ ბურთს მიუსწრო რორბახმა და გაქვითა ერთი გოლი. შემდგომში ანგარიშში ცვლილება არ მომხდარა, თუმცა საამისო შესაძლებლობა ჰქონდათ კიეველებსაც და სტუმრებსაც, რომელთაგანაც განსაკუთრებით გამოირჩეოდა რორბახი.

კიევის „დინამო" გავიდა თასების მფლობელთა თასის გათამაშების მეოთხედფინალში.

● ●

# „ფერენცვაროში" — შემდეგ ეტაპზე

ამავე დღეს ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა" შინ ფრედ დაამთავრა მატჩი ინგლისის „ლივერპულთან" — 0:0. რახან უნგრელებს პირველი შეხვედრა სტუმრად ფრედ ჰქონდათ დამთავრებული, ოღონდ ანგარიშით 1:1, ისინი მეოთხედფინალში გავიდნენ.

სსრ კავშირის პირველობა

● ●

# „დილამ" პირველი მატჩი მოიგო

**გროზნო, 5 ნოემბერი** (დეპეშით). აქ დაიწყო II ლიგის ზონების ფეხბურთელთა გუნდების ნახევარფინალური ტურნირი, რომელშიც სხვებთან ერთად გორის „დილაც" მონაწილეობს.

გორელთა პირველი მეტოქე იყო გორკის „ვოლგა". გაიმარჯვა „დილამ" — 1:0.

იმავე ანგარიშით დამთავრდა სხვა ორი შეხვედრაც. ადგილობრივმა „თერგმა" დაამარცხა ნიკოლაევის „სუდოსტროიტელი", ხოლო იანგიერის ამავე სახელწოდების გუნდმა — კამჩატკის პეტროპავლოვსკის „ვულკანი".

# ბათუმელთა წარუმატებლობა

**ფრუნზე, 5 ნოემბერი.** II ლიგის გუნდების აქ მიმდინარე ნახევარფინალური გათამაშება ბათუმის დინამოელებმა წარუმატებლად დაიწყეს. მათი პირველი მეტოქე იყო ადგილობრივი „ალგა", რომელმაც დიდი ანგარიშით გაიმარჯვა — 6:0.

ლენინგრადის დინამოელებმა ანგარიშით 2:1 მოუგეს კრივოი როგის „კრივბასს", ხოლო ყაზანის „რუბინმა" ბლაგოვეშჩენსკის „ამურს" სძლია — 1:0.

# რესპუბლიკის 33 საუკეთესო

საკავშირო ჩემპიონატის შემდეგ ყოველ წელიწადს დგება 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია, რომელიც მუდამ დიდ ინტერესს იწვევს სპორტის მოყვარულთა შორის.

გადაწყდა 33 საუკეთესოს სია დადგინდეს საქართველოდან II ლიგისა და რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილე გუნდებისთვისაც ცალ-ცალკე. სიები უნდა შეადგინონ ამ შეჯიბრებების მონაწილე გუნდების მწვრთნელებმა. დღემდე რესპუბლიკური სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოსა და ფეხბურთის ფედერაციაში ეს სიები გამოგზავნეს მხოლოდ ბათუმის „დინამოს", ზუგდიდის „დინამოს", გეგეჭკორის „სალხინოს", გორის რაიონის „ქართლისა" და ქობულეთის „შუქურას" ხელმძღვანელებმა. ფეხბურთის სამმართველო და ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელებს სთხოვენ ნუ დააგვიანებენ სიების გამოგზავნას.

# საქართველოს პირველობა

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

## I ჯგუფი

● **„სულორი" (ვანი) — „მეშახტე" (ტყიბული) 0:1. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).**

ვანელები აუტსაიდერებად ითვლებიან და პირველი ჯგუფის დატოვების საშიშროება ემუქრებათ. ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს სათანადო წინააღმდეგობა გაეწიათ „მეშახტისთვის" და კვლავ დამარცხდნენ. გოლი 27-ე წუთზე გაიტანა ლოლომაძემ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია ვანელი ო. სოსელია. მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილება მიიღო ტყიბულელმა გ. ლოლომაძემ, ეს კი მისთვის მესამე გაფრთხილებაა წლეულს.

● **„ეგრისი" (ცხაკაია) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 2:2. მსაჯი ა. მილჩენკო (სოხუმი).**

მეზობელი რაიონების ფეხბურთელთა შეხვედრას მუდამ მრავლად ესწრება მაყურებელი და ამჯერადაც ასე იყო. გუნდებმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს და 22-ე წუთზე მასპინძლები დაწინაურდნენ (ბ. დარასელია). ეს გოლი შესვენების შემდეგ გაქვითა ოდიშარიამ. შემდეგ ცხაკაიელები კვლავ წინ გავიდნენ (ქაჩიბაია), მაგრამ 70-ე წუთზე ცხაკაიელმა მურღულიამ საკუთარ კარში გაიტანა გოლი და თანაფარდობა საბოლოოდ აღდგა.

უწესო საქციელისთვის გაფრთხილებული არიან ცხაკაიელი კ. ჯოჯუა და გეგეჭკორელი მ. გაგუა. ორივე ეს ფეხბურთელი წლეულს მეორედაა გაფრთხილებული.

● **„ვარძია" (ასპინძა) — „კახეთი" (თელავი) 3:0. მსაჯი ჟ. ძნელაძე (თბილისი).**

გათამაშების დასასრულს ძალიან მოუკლეს თამაშს თელაველმა ფეხბურთელებმა და ზედიზედ წააგეს რამდენიმე მატჩი, „ვარძია" კი, პირიქით, დიდი აღმავლობით იბრძვის და თავიც დააღწია სახიფათო ზონას. ამ შეხვედრაშიც სტუმრებმა ყველაფერში დაუთმეს მასპინძლებს და 3 ბურთი გაუშვეს (ხაჩატურიანი, ჯაში — 2).

● **„დინამო" (სოხუმი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).**

ამ დაძაბულ მატჩში უპირატესობას დინამოელები ფლობდნენ, თუმცა არც „მეტალურგი" რჩებოდა ვალში. მიუხედავად ორივე კართან შექმნილი ბევრი სახიფათო მომენტისა, ანგარიში არ გახსნილა.

● **„შუქურა" (ქობულეთი) — „განთიადი" (თბილისი) 3:1. მსაჯი მ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).**

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს მახარაძემ, გორგილაძემ და მელნიკოვმა, „განთიადიდან" — მიქელაძემ.

● **„ლოკომოტივი" (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:1. მსაჯი დ. კვინიკაძე (თბილისი).**

თბილისელები ხაჩატურიანის ზუსტმა დარტყმამ დააწინაურა. საპასუხო გოლი შესვენების შემდეგ გლინიანოვმა გაიტანა. აღსანიშნავია „მეტალურგის" მეკარე გეგეშიძის საუცხოო თამაში.

● **„ამირანი" (ოჩამჩირე) — „კოლხეთი" (ხობი) 6:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მასპინძელთა სრული უპირატესობა დამთავრდა დარასელიას (2), ასტვაცატურიანის, ძიაპშიპას, ჩხვირკიას ხუთი გოლით, ხოლო კიდევ ერთი ბურთი საკუთარ კარში გაიტანა გოცირიძემ. ოჩამჩირელთა კარში ბურთი მოათავსა ნ. [illegible].

● **„იბერია" (ხაშური) — „ქართლი" ([illegible]) 1:0. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).**

მე-3 წუთზე ბურთი გაიტანა კიკაძემ.

მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია გორელი რ. სამნიაშვილი.

● **„მადნეული" (ჭიათურა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 1:0. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).**

ლიდერს მთელი ძალების მობილიზება დასჭირდა გამარჯვების მოსაპოვებლად. გადამწყვეტი გოლი გაიტანა ქორიძემ.

არასპორტული საქციელისთვის გაფრთხილებულია თბილისელი ი. არაქელოვი (მეორედ წლევანდელ სეზონში).

● **„სალხინო" (გეგეჭკორი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 0:1. მსაჯი ლ. ლონდაძე (თბილისი).**

გოლი 47-ე წუთზე გაიტანა ჯაფარიძემ.

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მადნეული" | 31 | 21 | 4 | 6 | 61—18 | 46 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 30 | 18 | 9 | 3 | 59—21 | 45 |
| „დინამო" | 33 | 16 | 9 | 8 | 65—36 | 41 |
| ასკ | 33 | 16 | 9 | 8 | 65—41 | 41 |
| „ეგრისი" | 33 | 16 | 8 | 9 | 54—35 | 40 |
| „სალხინო" | 33 | 13 | 13 | 7 | 48—31 | 39 |
| „ლოკომოტ." | 33 | 14 | 11 | 8 | 50—39 | 39 |
| ფიზკ. ინსტ. | 32 | 15 | 7 | 10 | 63—51 | 37 |
| „ამირანი" | 33 | 14 | 8 | 11 | 46—40 | 36 |
| „შუქურა" | 33 | 13 | 9 | 11 | 44—34 | 35 |
| „მეტალურგი" (ზესტაფ.) | 32 | 11 | 11 | 10 | 47—43 | 33 |
| „მეშახტე" | 33 | 12 | 7 | 14 | 43—57 | 31 |
| „კახეთი" | 33 | 11 | 7 | 15 | 45—54 | 29 |
| „ქართლი" | 31 | 11 | 6 | 14 | 53—56 | 28 |
| „კოლხეთი" | 33 | 8 | 10 | 15 | 39—55 | 26 |
| „ვარძია" | 33 | 11 | 4 | 18 | 35—51 | 26 |
| „განთიადი" | 33 | 7 | 9 | 17 | 40—61 | 23 |
| „იბერია" | 32 | 9 | 5 | 18 | 32—60 | 23 |
| „სულორი" | 33 | 6 | 7 | 20 | 33—88 | 19 |
| „სპარტაკი" | 33 | 4 | 5 | 24 | 33—84 | 13 |

## II ჯგუფი

### II ზონა

„კოლმეურნე" (გულრიფში) — „კოლმეურნე" (წულუკიძე) 0:3, „გიგანტი" (ლაითური) — „მზიური" (გალი) 5:3.

## ზონალური გათამაშება

„არაგვი" (მცხეთა) — „ქიმიკოსი" (ახმეტა) 7:2, „მშენებელი" (ბათუმი) — „ავიატორი" (ქუთაისი) 5:3, „მშენებელი" (ჭიათურა) — „ლესიჭინე" (ჩხოროწყუ) 0:0.

# ვეტერანის თასისთვის

გაიმართა შ. შავგულიძის სახელობის თასის გათამაშების ორი მატჩი. ფოთის „კოლხეთის" ფეხბურთელები შინ დამარცხდნენ სამტრედიის „ლოკომოტივთან" — 1:4, ხოლო მახარაძის „მერცხალმა" მოუგო ლანჩხუთის „გურიას" — 1:0.

# მეტალურგთა ქალაქში

„განთიადის" საქალაქო საბჭომ მოაწყო საინტერესო ტურნირი ფეხბურთში, რომელშიც 30 წელზე მეტი ხნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ № 1 სამშენებლო ტრესტის რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატისა და ლითონკონსტრუქციების ქარხნის გუნდები. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვა რკინა-ბეტონის ნაკეთობათა კომბინატის კოლექტივმა.

* * *

დამთავრდა ქალაქის პირველობა. I ჯგუფში კარგად ითამაშეს ქიმიური ბოჭკოს ქარხნის ფეხბურთელებმა, რომლებმაც 8 ქულით გაუსწრეს II ადგილზე მყოფ რუსთაველქრობის გუნდს.

II ჯგუფის კოლექტივებს შორის საუკეთესო იყო „ნორჩი მეტალურგი", რომელიც გაისად I ჯგუფში იასპარეზებს.

* * *

თვე-ნახევარს გაგრძელდა რუსთავის ქიმიური კომბინატის გარდამავალი თასის გათამაშება ფეხბურთში. შეჯიბრებაში საამქროთა 24 გუნდი მონაწილეობდა.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს შემკეთებელ-მექანიკური საწარმოს და საქვაბე საამქროს კოლექტივებმა. მატჩის ძირითადმა დრომ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. დამატებითმა პენალტებმა წარმატება მოუტანა საქვაბე საამქროს გუნდს — 4:2.

(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

# 17 გუნდი შიდასაკოლექტივო თასი

17 გუნდი მონაწილეობდა ზესტაფონის რაიონის საშუალო სკოლების ფეხბურთელთა გუნდების პირველობაში. ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ზესტაფონის მე-2 და ბორკეთის საშუალო სკოლების გუნდები.

საინტერესო ბრძოლის შემდეგ გაიმარჯვეს ბორკეთელმა ფეხბურთელებმა — 2:1.

შეჯიბრებამ გამოავლინა პერსპექტიული ფეხბურთელები, რომლებიც ბავშვთა სპორტსკოლის სექციაში ჩაირიცხნენ.

აღსანიშნავია, რომ ძირულისა და შროშის სკოლებმა ათამაშეს ფეხბურთელები, რომელთა გვარებიც განაცხადში შეტანილი არ იყო. საერთოდ არ გამოიყვანეს გუნდები ზესტაფონის მე-4 და რკინიგზის მე-7 სკოლებმა.

• • •

დამთავრდა შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის შიდასაკოლექტივო თასის გათამაშება ფეხბურთში. წარმატება წილად ხვდათ № 1 აგლომერაციის საამქროს წარმომადგენლებს.

ა. განუგრავა.

(ჩვენი კორ).

ზესტაფონი.

# ნაცია ჭადრაკი-74

● **ბელგრადი, 4 ნოემბერი.** სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების ტრადიციული მატჩის I ტურში პოლუგაევსკიმ მოუგო ივკოვს. ყაიმით დამთავრდა შეხვედრები: სუეტინი — გლიგორიჩი, მატანოვიჩი — პალატნიკი და რაიჩევიჩი — ტალი. მატულოვიჩთან გადადებულ პარტიაში ვაგანიანს უკეთესი პოზიცია აქვს. დასამთავრებელია გუფელდ — ლიუბოევიჩის პარტიაც. იუგოსლაველ დიდოსტატს ყაიმისთვის ბრძოლა დასჭირდება. ამრიგად, დაწინაურდნენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 2,5:1,5 (ორი პარტია გადადებულია).

● **მოსკოვი, 5 ნოემბერი.** მაგიდის ჩოგბურთში ევროპის ლიგის VIII პირველობაში საბჭოთა ნაკრებმა უხეიროდ აიღო სტარტი — უნგრეთის ეროვნულ გუნდთან წააგო. დღეს კი მან გაცილებით უკეთესად ითამაშა და ანგარიშით 4:3 დაამარცხა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი. სტუმრები, რომელთაც ახლა შვედი კ. იუჰანსონი წვრთნის, სათამაშოდ თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით არ ჩამოსულან. მიუხედავად ამისა, მასპინძლებს დიდი ჯაფა დაადგათ, რათა გამარჯვების სასწორი თავისკენ გადაეხარათ. საბჭოთა გუნდს პირველი ქულა ბათუმელმა ს. სარხოიანმა მოუტანა. ევროპის ლიგის შემდეგ მატჩს სსრ კავშირის ნაკრები 12 ნოემბერს ჩაატარებს ჩეხოსლოვაკიაში მასპინძელი ქვეყნის გუნდთან.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 8 ნოემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზაზე

ფეხბურთი. „ისნის" სტადიონი. საქართველოს ჩემპიონატი. 9 ნოემბერი. „განთიადი" (თბილისი) — „მადნეული" (ჭიათურა). დასაწყისი 15 ს.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53. ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 04800